

**ტიპობრივი ტესტები პათოფიზიოლოგიაში**  
**(VI სემესტრის №19 მოდული „ნეირო-ენდოკრინული, ვეგეტატიური და**  
**სომატური სისტემების პათოლოგია“)**

**//// ნეირონების მეორადი ჭარბი აგზნება ვითარდება:**

- // პოსტსინაპსური რეცეპტორების ბლოკადის დროს
- /// ამგზნები აფერენტაციის გაძლიერებისას
- /// ამგზნები ნეირომედიატორის მოქმედების პროლონგირებისას
- /// ნეირონების ჭარბი დეპოლარიზების დროს

**//// ადისონის დაავადების გამომწვევი მიზეზი შესაძლოა იყოს:**

- /// წყლის დიდი რაოდენობის მიღებით გამოწვეული „წყლით მოწამვლა“
- // სტეროიდული პრეპარატების ხანგრძლივი მიღება
- /// ესტროგენების სიჭარბე
- /// ჰიპერგლიკემია

**//// ლემნისკის სისტემის მოშლა შესაძლებელია:**

- /// ზურგის ტვინის წინა და გვერდით ცენტრების დაზიანებისას
- // მედიალური მარყუჟის ბოჭკოების გამტარობის დარღვევისას
- /// ანტეროლატერალური სისტემის დაზიანებისას
- /// γ-მოდონეირონების დაზიანებისას

**//// მთავარი ჰიპოკინეზიის განვითარების მექანიზმში მონაწილეობს:**

- // პოსტსინაპსური ქოლინორეცეპტორების იმუნური ბლოკირება\*
- /// სინაპსური გადაცემის გაძლიერება პერიფერიულ ნერვ-კუნთოვან სინაპსში
- /// პერიფერიული მოტონეირონების დაზიანება
- /// კორტიკო-სპინალური პირამიდული სტრუქტურების დაზიანება

**//// ჰიპოთირეოზის განვითარების მექანიზმში არ მონაწილეობს:**

- /// თირეოიდული ჰორმონების ბიოსინთეზის თანდაყოლილი დეფექტები
- /// ფარისებრი ჯირკვლის თანდაყოლილი ჰიპოპლაზია
- // იოდის პრეპარატების გამოყენება
- /// თირეოსტატიკური პრეპარატების დიდი დოზები